სარეაბილიტაციო სერვისების ხელმისაწვდომობისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის შეფასება საქართველოში

ნინო ბოლოთაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გოგინაშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბოლოთაშვილი

თარიღი: 17.06.2024

აბსტრაქტი

სარეაბილიტაციო სერვისები შექმნილია ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებში შეზღუდული შესაძლებლობის შესამცირებლად და ფუნქციონირების ოპტიმიზაციისთვის. ამრიგად, ის მაქსიმალურად ზრდის ინდივიდის უნარს იცხოვროს, იმუშაოს და ისწავლოს გარემოში, სადაც ის ცხოვრობს. თუმცა, საქართველოში ამ სერვისების განვითარება და განაწილება შეზღუდულია. ეს კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში მოსახლეობის სარეაბილიტაციო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ინფორმირებულობის დონის შეფასებას.

კვლევის ძირითადი ამოცანებია: ჯანდაცვის დაწესებულებებში შემოთავაზებული სარეაბილიტაციო სერვისების მოცულობის შეფასება, მოსახლეობის ინფორმირებულობის დადგენა ამ სერვისების შესახებ, ბარიერებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება და არსებული ინფრასტრუქტურისა და დარგის სპეციალისტების რაოდენობის შეფასება. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად საქართველოს მოსახლეობას აქვს სარეაბილიტაციო სერვისებზე გარკვეული ინფორმაცია, თუმცა ხელმისაწვდომობა დაბალია, რადგან ქვეყანაში ნაკლებადაა განვითარებული თანამედროვე სარეაბილიტაციო სერვისები და მოსახლეობას პრაქტიკულად არ აქვს ინფორმაცია ამ სერვისების გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულია რაოდენობრივი, ჯვარედინი კვლევის დიზაინი. შემთხვევითი შერჩევა უზრუნველყოფდა რესპონდენტთა მრავალფეროვნებას ასაკისა და გეოგრაფიული განაწილების მიხედვით. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომლის მიზანიცაა ინფორმირებულობის, გამოყენების, ბარიერების, სერვისების შეფასების და ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის შეგროვება. მონაცემების შესაფასებლად გამოყენებულია აღწერილობითი ანალიზი.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დასტურდება ჰიპოთეზა, რომ საქართველოს მოსახლეობას აქვს გარკვეული ცოდნა სარეაბილიტაციო სერვისების არსებობის შესახებ,

თუმცა მათ არ აქვთ ძირეული ცოდნა იმის შესახებ თუ რა მომსახურებები შეუძლიათ მიიღონ და რას აფინანსებს სახელმწიფო. ასევე დაბალია ხელმისაწვდომობა, რადგან ნაკლებადაა განვითარებული თანამედროვე სარეაბილიტაციო სერვისები, რეგიონებში შესაბამისი დაწესებულებების სიმცირეა, ხოლო ქვეყანაში სფეროს სპეციალისტთა რაოდენობა არასაკმარისია.

საძიებო სიტყვები: სარეაბილიტაციო სერვისები, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ინფორმირებულობა, ინფრასტრუქტურა, რეაბილიტაციის სპეციალისტები.

Abstract

Rehabilitation services aim to reduce disability and optimize functioning in individuals with health issues. Thus, it maximizes the individual's ability to live, work and learn in the environment she/he lives in. However, the development and distribution of these services are limited in Georgia. This study aims to evaluate the availability and awareness level of rehabilitation services of the population in Georgia.

The main tasks of the research are to assess the volume of rehabilitation services offered in health care institutions, to determine the awareness of the population about these services, to identify barriers and challenges, and to assess the existing infrastructure and the number of specialists in the field. According to the research hypothesis, the population of Georgia has some information about rehabilitation services, but the availability is low, because modern rehabilitation services are less developed in the country and the population practically has no information about the necessity of using these services.

A quantitative, cross-sectional survey design was used to collect data. Random sampling ensured a diversity of respondents in terms of age and geographic distribution. The survey was conducted through a structured questionnaire aiming to gather information about awareness, usage, barriers, service evaluation and infrastructure. Descriptive analysis was used to exmine the data.

Based on the results of the research, the hypothesis confirms that the population of Georgia has some knowledge about the existence of rehabilitation services, but they do not have thorough understanding of what services they can receive and what the state finances. Also, low availability, as modern rehabilitation services are less developed, there is a shortage of rehabilitation facilities in the region, and there is an insufficient number of specialists in the field in the country.

Key words: rehabilitation services, access to healthcare, population awareness, infrastructure, rehabilitation specialists